

ქრეველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მედიკინების სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მედიკინების სახლში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. მარტეშობისთვის: ВЪ ТИПОГРАФИИ. ВЪ РЕДАКЦИИ ГАЗ. „ПРОСВЕД.“

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ქრეველ

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

წასი განცხადებებსა მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე. 1 კაპ., ნახევარწლით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკლოთი—5 კაპ., პატრია—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გადასწავროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

მოკვამალ 1878 წელს გაზეთი

„დროება“

გამოცა იმგვარივე პროგრამით და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდირდა ხოლმე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

მოკვამალ წელსაც „დროება“ გუდავ დღე გამოცა,

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ხელის-მოწერა

თუ ილი სუი— მიიღება დროების რედაქციის კანტორაში, სტ. მედიკინების სახლში (ბანოვის ქუჩაზე, შატრუხის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ ТИПОГРАФИИ. ВЪ РЕДАКЦИИ „ПРОСВЕД.“

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება მოკვამალის წლიდამ გაზეთის დაბარება. შემოწილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: სხადრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნას გამოგზავნილი; თუ არ თავეს აგენტის საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავეს არ გაუგზავნი.

რედაქციისაგან

თუმცა რამდენჯერმე გამოვაცხადეთ, რომ გაზეთი ამ თავითვე ფულის შემოკლებად არავეს გაეგზავნება-მეთქი, მაგრამ ამ დღეებში მაინც კიდევ რამდენიმე პირისაგან მივიღეთ მოთხოვნა, რომ უმორჩილესად ვთხოვეთ მოკვამალი წლისთვის „დროება“ გამოგვიგზავნეთ და ფულს თავის დროს მიიღებთო.

ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ ამ ცალკე განცხადებით ვაცნობათ ყველას, რომ თუ არ აგენტების საშუალებით, ისე მოკვამალის წლის გაზეთი ნისიათ არავეს გაეგზავნება.

უმორჩილესად ვთხოვეთ იმ ჩვენს აგენტებსა და ხელის-მომწერლებს, რომელთაც წლებედელი გაზეთის ანგარიში დღემდინ არა აქვთ გასწორებული, რაც შეიძლება მალე გაასწორონ და ხვედრი ფული გამოგზავნონ.

ტელეგრაფები

ბრძოლის ვალიდა

(ოფიციალური)

არტანუჯი, 7 დეკემბერს. 5 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით აიღეს არტანუჯი. მტერმა დავეტოვა ჩვენ თავის ბანაკი. ჩვენს მოწინავე ჯარს ფიცხელი შეტაკება ჰქონდა მტერთან.

ჩვენის მხრით 2 საღდათი მოკლულია ამ ბრძოლაში და 5 დაჭრილი.

ბოგოტი, 6 დეკემბერს. 15 ნოემბერიდამ ღენ. ღელინგაუზენის ატრიადი მონენასთან არის დაბანაკებული; ამ ატრიადის მოწინავე ჯარები შესაროვოსთან, ბებროვოსთან და ბულკაეცთან იმყოფებიან. ახმეტლი კი მტერმა დაიჭირა.

30 ნოემბერს და 1 და 2 დეკემბერს ოსმალოები მოგვაწვნენ ბერკოვიციდამ ქუტლოვაციისაკენ; მაგრამ ხარკოვის ულანებისაგან უკუქცეულ იყვნენ.

პრაციდამ მოვიდა მოხსენება 4 დეკემბერს, რომ ოსმალოს ჯარი წასულა ბერკოვიციდამ, დაუტოვებიათ აქ ერთი ზარბაზანი და სოჭიისაკენ დაწეულან; ამათ წასვლის შემდეგ ბერკოვიცი დაიჭირა ჩვენ ჯარებმა, რომელთაც როტმისტრი ფრაფი ბერგი მიუძღოდა წინ.

დ. მ. ტახტის მიმკვიდრის ატრიადში 30 ნოემბრის შემდეგ სრულა მშვიდობიანობა ჰსუფეფს.

ლონდონი, 5 დეკემბერს. სტამბოლში გავრცელდა სხვა, რომ ინგლისს, ოსმალეთის დაუკითხავად, უკითხავს რუსეთისათვის: თანახმაა ის მორიგებაზე თუ, არა? რუსეთს უპასუხნია, რომ პირდაპირ ოსმალეთთან გესურს ჩვენ მორიგებაზე მოლაპარაკების დაწყებაო, და თუ სხვა ქვეყნებიც მიიღებენ ამ საქმეში მონაწილეობას, მაშინ ჩვენ უფროს მძიმე პირობებს წარუდგეთ ოსმალეთსაო. ამის გამო სტამბოლში ამ ყამად საშინელი მღელგარებაა ხალხისა. ქუჩებში აკრულია სხვა-და-სხვა გვარი აღმშფოთებელი მანიფესტები.

ოქის აგებები

აზიის ბრძოლის ვალიდა
არზრუმელი კორესპონდენტი ინგლისურის გაზეთის „Times“-ის შემდეგ ამაგავს იწერება ამ ქალაქილამ 23 ნოემბერს:

ამ თვის 19-ს რუსებმა გააკეთეს ღევე-ბოინთან სიმაგრე (რედუტი), რომელიც ერთსა და იმავე დროს თვითონ არზრუმსაც დასჩერებია და ღევე-ბოინის გზასაც. ამ რედუტიდამ რუსებს შეუძლიანთ დიდი ზარალი მისცენ არზრუმს, თუ ყუმბარები დაუშინეს.

მაგრამ მუხთარ-ფაშა მაინც მაგრათ არის; იმან თპასუხა ღენ. ბეიმანს, რომელმანც შემოუთვალა იმას, არზრუმში დაეთმო რუსებისათვის, რომ სულთანისაგან მინდობილი მაქვს არზრუმის დაცვა და სანამ უკანასკნელი მეცამარი მეყოლება და ერთი სროლა წამალი მექ-

ნება, ჩემის ნებით არ დაგემორჩილებითო და ქალაქს ვერ დაგიტოვებთო.

საშინელი სიძვირე არის ამ ქაშად აქ; მომეტებული ნაწილი მალაზიებისა და კეტილია და ზოგიერთ აუცილებელად საჭირო ნივთებიც იშვიათად იშოვება.

არზრუმში აქეთ ოსმალოებს ახლა სულ 140 ზარბაზანი ზოგი ძრუპისა და ზოგი უბრალო სისტემისა. ჯარები 15,000-მდინ ეყოლებათ. მალე კიდევ მოვლიან.

ურანსუხუს გაზეთს „Le Temps“-ში იწერებინან არზრუმიდამ 28 ნოემბერს:

„ოვლისა და ცუდი გზების გამო, ოსმალოები როგორც ეჭირებათ ისე საჩქაროთ ვერ აგროვებენ ჯარებს ღიარბეკირში, რომ აქედამ არზრუმში გამოგზავნონ. ჯერ-ჯერობით, როგორც ნამდვილად იწერებინან, იქაურ ვალის (ღუბერნატორს) 10,000 კაცი შეუკრებია იქ; მაგრამ იმედი აქვს, რომ ამ წლის დამლევამდინ ორ დღეშიას კიდევ გამოგზავნის მუხთარ-ფაშის მისაშველებელად.“

ამავე გაზეთის სტამბოლელი კორრესპონდენტის სიტყვით, ოსმალოსა და რუსების ტყვეების გაცულის თაობაზე მოლაპარაკება უკისრინა ბერმანის ელჩს თ. რეისს.

მუხთარ-ფაშას გაუგზავნია არზრუმიდამ 23 ნოემბერს შემდეგი დეპეშა ოსმალოს სამხედრო სამინისტროს სახელობაზე სტამბოლში:

„მართი არშინი თოვლი სძევს აქ და საშინლადაც სცივა. რუსებმა ცოტაოდენი ჯარი დასტოვეს ღეფე-ბოინზე და დანარჩენი ჯარი კი ახლო-მახლო სოფლებში გაგზავნეს; რადგან შეშა არა აქვთ, ეს ჯარები ანგრევენ ადგილობრივ მცხოვრებლების სახლებსა და სწვავენ.“

გაზეთის „Daily News“-ის კორრესპონდენტი იწერება პარსიდამ, რომ ლორის-მელიქოვის განკარგულებით, რუსებმა აქაურად ოსმალოებისაგან შეადგინეს პოლიციო და ამ ქაშად ეს პოლიცია ჩინებულად მოქმედებსო. სახადი და სხვა ავთომყოფობა არის აქ ერთობ გავრცელებული და რუსები ყოველ ღონისძიებას ხმარობენო, რომ ამ მხრით დაეხმარონ მცხოვრებლებსაო.

მავე კორრესპონდენტი ამბობს: „რუსებმა გამართეს აქ ტელეგრაფის სტანცია, ტიპოგრაფია, დაადგინეს თავის გამგეობა და სხვ. ასე, რომ, ეტყობა, ისინი საბოლოოთ აპირებენ ამ ციხის დასაკუთრებას.“

ვენის გაზეთს „Presse“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა, რომელიც ამ გაზეთს 25 ნოემბერს მიუღია ოფილისიდან:

„არზრუმთან დაბანაკებულ რუსის ჯარებმა დაიპირეს ქ. ოოქმა.“

„პლექსანდრაპოლიდამ რუსებს მოუვიდათ არზრუმთან 25 ზარბაზანი ციხისასალები და პარსიდამაც 100. ამ ნაირად ამ ქაშად რუსებს აქეთ არზრუმთან სულ 280 (?) ზარბაზანი მინდვრისა და ციხის. მაგრამ, როგორც იწერებინან, იქითკენ ისეთი ავღრები არისო, რომ ამ ზარბაზნების გამოყენება და საზოგადოთ რომელიმე სამხედრო მოქმედება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი არის.“

ვეროსის ბრძოლის ველიდა

რუსულ გაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი სტრიქონები:

„პლენოს ალების შემდეგ, რუსის მხედრობის ერთი მიზანი ის უნდა იყოს, რომ სოჭიისა და აღრიანოპოლისაკენ გაიწიოს. მაგრამ, სანამ ჩვენი ჯარები ბალკანის მთებზე გადავლენ, მანამ ისე უნდა მოახერხონ საქმე, რომ უკანიდამ მტრის აღარ ეშინოდესო. ამისათვის საჭიროა, რომ სულეიმან-ფაშის არმია დაეპარცხოთ და აგრეთვე, თუ არ ავილოთ, საკმაო ჯარები მაინც მივაყენოთ იმ შესანიშნავ ოთხ-კუთხედ ციხეებს (რუსჩუკს, სილისტრიას, მარნასა და შუმლას), რომელშიაც შესაფერებელი არიან ამ ქაშად ოსმალოს გარნიზონები და რომელსაც შეუძლიან დიდი ზიანი მოგვცეს ჩვენ უკნიდამ, თუ პარ-და-პირ წინ გავიწიეთ.“

ვენის გაზეთს „Tagblatt“-ში იწერებინან ბუხარესტიდამ 30 ნოემბერს:

„ღღის შემდეგ, პლენოსთან გაჩერებული რუსის არმიის მიზანი ის იქნება, რომ ბალკანის მთებზე გადავიდეს და სოჭია და აღრიანოპოლი აიღოს. მაგრამ ერთი ნაწილი ამ არმიისა და აგრეთვე რუშინის ჯარები აქვე აღმოსავლეთ ბოლგარიაში დარჩებიან და სულეიმან-ფაშისა და ოსმალოს ციხეების წინააღმდეგ იმოქმედებენ.“

„მოსკოვის შუყებებში“ ზოგიერთი უფრო დაწვრილებული ამბები არის დაბეჭდილი პლენოს ალების თაობაზე: ოსმან-ფაშა ამ ბრძოლის დროს თავში მიუძღოდა თავის ჯარებსაო, თითქოსიკვდილს ეძებდაო. სანამ ხელში არ დასჭრეს მძიმედ, მანამ თვითონვე ახდენდა ყოველ განკარგულებას; მაგრამ როცა დასჭრეს და ნახა, რომ რუსის ჯარის გაპობა ვერ შეიძლო, რომ იმის ჯარი იძულებული შეიქნა უკან დაეწია, მერე კი ზნეობით დაეცა და რუსებთან მოლაპარაკება დაიწყო დამორჩილებულადო.

ამბობენ, რომ ღღენ. სკობელევი პირველად შევარდნილა პლენოში და თავის კორპუსით დაუჭირავს ეს ქალაქი. ბრენადერის კორპუსი, რომლის გარღვევაც პირველად განუზრახავს ოსმან-

ფაშას, ღღენ. მანეცკისე შეიქმნა და შეეყოფილა.

ამავე გაზეთის სიტყვით, ხელმწიფე იმპერატორი ბრუნდება ბრძოლის ველიდამ; ქრისტეშობისთვის 12-ს იმას პეტერბურღში მოვლიან.

„ჰედასის სააგენტოში“ იწერებინან სტამბოლიდამ, რომ მკვიპტეს ვიცე-კონოლი 12,000 კაცს ქვევითა ჯარსა, 1,000 ცხენოსანსა და 40 ზარბაზანს უგზავნის კიდევ ოსმალებს ამ ომში დასახმარებლათაო.

საქართველო

დღიური

„მოსკოვის შუყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი ლეკების აჯანყების თაობაზე:

„ნოემბრის დამდეგს ნუხაში გავრცელდა ხმა, რომ 5,000 აჯანყებულ ლეკი ემზადება ნუხის მიდგომას და ქალაქის აღებასაო. იმ წამსვე ღღენ-ლეიტ. მამაცოვმა გაგზავნა კაცი ზაქათალაში და დაიბარა იქიდან ჯარები.“

„ამ დროსვე ღღენ. მამაცოვმა მიიღო ყოველი ღონისძიება ქალაქის დასაცველად: იმან დაურეგა თოფები ნუხის მცხოვრებლებს, დააყენა რამდენიმე ზარბაზანი ქალაქის სამხედვარზე, გააკეთა მიწის სიმაგრეები და გააჩერა ყაზახები.“

„13-ს ნოემბერს მართლაც გამოჩნდნენ დაღესტნელები შეიქნა ბრძოლა. მაგრამ ჩვენი საქმე ცუდათ იქნებოდა, თუ ამ დროს ზაქათალიდამ არ მოსულიყო რამდენიმე ბატალიონი 4 ზარბაზნით. დაინახეს თუ არა აჯანყებულებმა ეს ჯარები, იმ წამსვე უკან დაიწიეს.“

„ამ ბრძოლაში ჩვენის მხრით 50 კაცამდინ არის მოკლული. მტერს კი 120 კაცამდინ ეზარალა.“

„პლექსანდრაპოლიდამ მოუვიდა ოფილისის მოამბეს“ კორრესპონდენცია, რომელიც იწერებინან, რომ ერთს ინტენდანტის ჩინოენიკს, გვარად ნებელსკის, გასული ნოემბრის 30-ს მოუკლავს თავი. მიზეზს ამ თავის-მკვლელობისას იმას იწერებინან, რომ ამ ჩინოენიკმა უხელ-წერილოთ და უკანტრაქტოთ დაურეგა სომხის პოდრიადნიკებს ფული ჯარისთვის ხორავის სასყიდლოდა, ამ სომხებმა მოატყვილესო, ამ ნაირად სახელმწიფო ფულის შექმნა იმას დაებრალეზოდა და ამ სირცხვილს ვერ გაუძლოვო, სიკვდილი არჩიაო.

„მ. ახალქალაქილამ გეაცნობებენ, რომ აქეთკენ მთებზე ყველგან დიდი თოვლი სძევსო. საშინელი სიძვირე გაჩნდაო, განსაკუთრებით ნვეთი და შაქარი ძვირობსო.“

ამავე კორესპონდენტის სიტყვით, ალექსანდრაპოლოში გირვანქა შექარი ამ ქამადმანეთ-ნახევრად იყიდება!..

* * ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში შემდეგი შენიშვნა თელავიდან:

„ მართი სოტნის კამანდერი ჩვენი ქართველი დრუჟინისა გაგზავნეს ამას წინათ ღვლოფლის-წყაროზედ ჯამაგირების მისაღებათ ჯარისათვის და როდესაც, დაბრუნების შემდგომ, ანგარიში მოსთხოვეს, იმას დააკლდა ოცი თუმანი. თითონ ამბობს, რომ ვითომც მიღების დროს მოტყუებუა, მაგრამ...“

მუთაისის სასულიერო სასწავლებელი

(წერილი რედაქტორთან)
(დასასრული)

მთხს სექტემბრისას დაიწყო ამ სასწავლებელში სწავლა. მაგრამ მასწავლებლებს თითქმის თვე-ნახევრის განმავლობაში არ აუღიათ ხელში ის საგნები, რომლებიც უნდა ასწავლონ შეგირდებს. ისინი შედიოდნენ კლასებში, შექონდათ თვითონ ტვირთი წიგნები და თითქმის მთელი საათის განმავლობაში სულ ამას ათვალთვლებდნენ...

მომეტებულ ნაწილს შეგირდებს არა აქვთ სახელმძღვანელო წიგნები. ამბობენ, რომ, ომიანობის გამო, წიგნებზე გაძვირდა; იმისთანა წიგნი, რომელიც წასულ წელში ერთ მანეთათ იყიდებოდა, ეხლა ექვს აბაზათ ჰყიდიან. რუსეთიდან გამოწერილი წიგნები რომ ძვირათ გაჰყიდონ, ეს კიდევ, ესთქვათ, არაფერი; მაგრამ წარმოადგინეთ, რომ უფ. სასწავლებლის ზედამხედველს და იმის თანაშემწეს გამოაქეთ წიგნები უჩომანხიდის ტიპოგრაფიიდან, რომელიც ნახევარი ვერსითაც არ იქნება სასწავლებელზე დაშორებული, და თვითონ წიგნში თითო შაურს გვებულობენ; ასე რომ უფ. ჩომანხიძე რომ ცამეტს შაურათ წიგნს ჰყიდის, ამათ გამოაქეთ და თოთხმეტ შაურათ ჰყიდიან.

მის სასარგებლოთ მიღის ეს ამ ნაირათ მოგებული ფულები? მართმა მასწავლებელმა მიჰყიდა ზოგიერთ შაგირდებს ჩამოდენივ ეგზემპლარო სახელმძღვანელო წიგნი აღნიშნულ ფასათ; ჩამოდენივ დღის შემდეგ ზედამხედველი და იმის თანაშემწე უბრძანებს ამ მასწავლებელს, რომ ორ-ორი შაური კიდევ გარდახდევინე იმ შეგირდებს და წარმოადგინე საჩქაროთა.

იქნება თქვენ იფიქროთ, რომ ამ სასწავლებელში სხვათა შორის ამ ნაირი საქმეები იმითომ ხდებოდეს წელს, რომ ბიბლიოთეკარი არ იყოს დანიშნული,

რომელიც ვალდებულია გაყიდოს წიგნები თავის დროზე და რიგიან ფასათ? შესცდებით; აქ ბიბლიოთეკარი გახლავსთ, ჯამაგირიც ეძლევა; მაგრამ, თუ მკითხავთ, რატომ თვითონ ის არ ჰყიდის წიგნებს და მასწავლებლებს რათ აცდენენ ამისათვისო, ამაზე მოგახსენებთ, რომ იმას წიგნების გასასყიდლოთ არა სცალია; ის ვითომ ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობას ასრულებს და, გარდა ამისა, იმას აქვს ამ სასწავლებელში თორმეტი გაკვეთილი კვირაში და სხვა სასწავლებელში კიდევ (პროგიმნაზიაში) ათი გაკვეთილი. აქედამ ცხადათ სჩანს, რომ ის სადილობადის სრულიად ვერ მოიცილის წიგნების გასასყიდლოდ და ნასადილევეს კიდევ მოსვენება სჭირდება. ის მხოლოდ იმას სცდილობს, რომ ამ ძვირობის დროს რაც შეიძლება მეტი ფული შეკრიბოს და იმის პირ-და-პირ თანამდებობას მასწავლებლები ასრულებენ; მაგრამ წესიერათ კი არაფერ არ ასრულებს, რადგანაც ერთი და იგივე პირი თანაშემწის თანამდებობის ჯამაგირსაც იღებს, მასწავლებლობის ჯამაგირსაც და ბიბლიოთეკარისასაც ცალკე, მაშინ როდესაც ყველანი დარწმუნებულნი არიან და საქმეებიდამაც სჩანს, რომ იმ პირს ყველა ამ თანამდებობების ერთად ასრულება არას დროს არ შეუძლიან იმ სასწავლებელში, რომელიც თოთხმეტი განყოფილებისაგან შესდგება და რომელშიაც შეიდასზე მეტი შეგირდნი სწავლობენ. შესანიშნავია, რომ მასწავლებლებს იმის ნებასაც არ აძლევენ, რომ იგინი თავისუფალ დროს შევიდნენ ბიბლიოთეკაში და იქ გაყიდონ ხოლმე წიგნები. იმათ უბრძანებენ, რომ მაინც-და-მაინც კლასებში შეიტანეთ წიგნები და იქ ჰყიდეთ გაკვეთილის დროსაო. შევლა ამებზედ ზედამხედველიც იმას ბრძანებს, რომ ამ ნაირი მასწავლებლების მეცადინეობა ახალი პედალოლის მოთხოვნილება არისო, რომელიც მეჯერ არ წამიკითხავს, თუმცა იყო ერთი დრო, როდესაც მეც მასწავლებელი გახლდი და ახლა კი გახლავარ

მღვდელი

„დროების“ კორესპონდენცია

მ. ახალქალაქში, 1 დეკემბრს. სინამდისინ შარსს აიღებდნენ რუსები, ილაჯი იყო გაწყვეტილი თათრებისაგან ხან ქურდობითა ხან ცარცვით; ხანდის-ხან აქაურ მცხოვრებს ჯავახელებს აგონებდნენ ყურთ: დაიცათ, როგორც ავტორებთ თქვენს ღვდასაო ერთი თათრები წინ წამოვიდნენო!

მაგრამ ბოლოს შარსი აღეს და იმედიც წაერთვათ ასე, რომ თათრის აქ მცხოვრებს და ჩილდირის სახჯაყელებს ვერ ნახავთ მზიარულათ ისე, როგორც უწინ.

მართი ნაცნობი მოვლია შემხედა ამას წინათ, მომცა სალაში და მკითხა:

— შაშა, მითხარი სწორეთ, თქვენ ყველა მოგახსენებათ, რა ამბავი არის, როგორ მიღის საქმე მსმალ და რუსეთ შუა, ფაშა? მთ არას დამიძალამ, წყვილს მწვევარს ფეშქაშათ მოგართმევთ?

— ნამდვილი ეს არის, უთხარი მე, რომ ეს ორი-სამი დღეა, რაც შარსი აიღეს, ხვალ პარაკლისს იხდიან, ესე იგი მადლობა ღმერთთან, ალლა, ფაშა!

— სწორეთ მითხარ, გეთაყვა, მართლა, გეფიცები! რატომ ხალხმა არაფერ იცის ჯერ თქვენ მეტმა?

— მე კი მომიხსენებია და თქვენ იცით, დილაზედ გაიგებ ნამდვილათ, ალლაჰ, ფაშა!

— მაშ დიდი ხალხი დაიხრცებოდა?

— რუსის ხალხი დაიხრცა სულ ათას ხუთასი, და მსმალოსი თვალეს, თვალეს, და თვლა მოსწყინდათ, თავი დაანებეს; ხოლოდ დაუწყეს დამარხვა მსმალოს სალდათს. და ტყვეთ დაუჭირათ რუსებს მსმალოს სალდათი ჩვიდმეტი ათასი, სამასი ზარბაზანი, ოცი ათასამდინ თოფი და აგრეთვე პური, ლორი ხარისა და ყოველი ბევრი ნივთი!

მოლამ მიგლო ყური და უცებ სთქვა:

— ალლაჰ, ნეტამც არ მენახე!

— რათა?-მეთქი, გკითხე.

— შარსთან თათრის ჯარში იყო ჩემი სიძე, ის ხომ არ მოუკლავთ, მიბძანეთ?

— მაგის კი რა მოგახსენო - მეთქი; უთხარი და გამოვეთხოვე ჩემ მოლლას, რომელიც დაღონებული და ჩაფიქრებული წავიდა შინისაკენ.....

ილ. თუხარელოვი

ნარკვი

რუსის ვაჭრებში გაცხარებული სტატეები იბეჭდებოდა ამას წინათ იმაზე, რომ ეს ამდონი დატყვევებული ოსმალოს სალდათები ტყუილ-უბრალდოთ რად უნდა ვარჩინოთო, საქმეში გამოვიყენოთო, ვამუშაოთო და სხვ.

მართებლობამ გაიგონა ამათი რჩევა: გამოვიდა ბრძანება, რომლის ძალითაც ეს დატყვევებული სალდათები სახელმწიფო რკინის გზებზე და აგრეთვე კერძო გზებზედაც უნდა ამუშაონ.

* * * მთ როგორი ფაცა-ფუცი და უწყსოება მსუფხვეს იმ რკინის გზებზე რომელთაც ჯარები და სამარო მასალები ვადაქეთ რუსეთიდან მოღარაში, ამას გვიმტკიცებს შემდეგი მაგალითი, რომელიც მდესისს ვაჭრის „Правда“-ში არის მოყვანილი:



„შვედინკასა და ბუზარესტს შუა, რეონის გზაზე, სადღაც დაიკარგა ერთი მთელი ვაგონი, რომელიც გატყვევებული იყო ჯარისათვის გადაზენილის თბილი ტანსაცმლისათვის.“

„ლე არ გავა თურმე, რომ ინგლისურს გავხებებში რამდენიმე უბედური შემთხვევა არ იყო აწერილი, რომ ამა-და-ამ კაცს ამა-და-ამ ადგილას ბრაზიანმა ძალმა უტიპინა, გაცოფიანდა და მოკვდა.“

„ამ გარემოებას მიიქცა ურბანობა ბრიტანის საექიმო საზოგადოებამ და დანიშნა ახლა ცალკე კამისები, რომელთაც მინდობილი აქვთ გამოიკვლიონ — თუ რისგან გავცელდა ამ ქამად ცოფიანი ძაღლები და რა საშუალება, რა წამალი მოარჩენს ამ ბრაზიანი ძაღლის ნაკებნას.“

„ნასწავლ ქვიშებმა ცოფიანის ნაკებნის მორჩენა ჯერ არ იცან, მაგრამ, ზოგიერთი დოქტორების პაზრით, ამ შემთხვევაში თბილი აბანო, რომელშიც ვერცხლის-წყალი არის გარეული, ძალიან უხდება.“

თფილისის სამკურნალო (4-ს აპრილის სახსრებზე)

ქვეყნის მადანზე, წინამძღვროვის სახლებში. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდან დილის 10 საათიდან.

მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს. ქვიშე მინკვიერი — ხირურგიული ავათმყოფობისათვის, შარალევირი და ლისიცივი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ს. ა. შ. ბ. ა. თ. ს. მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს. ქვიშე მინკვიერი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, თვალის ქვიშე.

მ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. ლ. სიცივი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, შარალევირი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ს. ხ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს. ქვიშე მინკვიერი — შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკვიერი — ხირურგიულისათვის.

შ. ა. ბ. ა. თ. ს. მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს. ქვიშე მინკვიერი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, შარალევირი — ვენერიული ავათმყოფობისათვის და თვალის ქვიშე.

კავკასიის საავირო ინსტიტუტი

მზობიარე ქაღები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღამეში 75 კაპ. მიიღებიან.

საღამო ოთახების ქირა თვეში 30-50 მანეთად არის.

მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს. ქვიშე მინკვიერი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, თვალის ქვიშე.

შ. ა. ბ. ა. თ. ს. მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს. ქვიშე მინკვიერი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, შარალევირი და ლისიცივი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ახალი ტამსა ბირჟის იზოლსკიებისა

Table with columns for 'შეყვანილი' (Arrived), 'ბირჟა' (Exchange), and 'მან. კაპ.' (Mans. Kap.). It lists various goods and their prices, such as 'ქალაქის რჩევამ მიხლო მხედველობაში' and 'ქართი გზა'.

რ. გზიდან ნეთ.—2 მან. 30 კაპ. — ღამონამდინ—1 მან. 50 კაპ. — ქალაქი ყველგან 1 „ — „ 70 „

რ. გზამდინ ქალაქ.—80 „ — 50 „ ნეთულედი 1 „ 50 „ 1 „ — „ რეონის გზამდინ და უკან — — 1 „ 30 „ — „ 90 „

განცხადებანი გაკვეთილები

ზრანცუზულს მისა. პრაქტიული და თეორიული სწავლა. ბრამატიკა და ლაპარაკი ფრანცუზულს ენაზე. მასურველს შეუძლიან მიმართოს მუთანისში, უფ. ზეკარია ძანდელაქის სადგომში.

მიაცვამ სასესეგებელი ფული

იმ პირობით რომ მოველემ მუდამ კვირას ანუ თვეში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრალებული პირობების შეტყობა ბულაკოვსკისთან, მორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, მარშაის ფესაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

Large table with multiple columns: 'რკ. გზა.', 'დილა.', 'საღამ.', 'II კ.', 'III კ.', 'ტვლებრაში', 'მ. კაპ.', 'ბირჟა', 'მან. კაპ.', 'გაზანდა', 'მან. კაპ.'. It contains a detailed list of market prices for various goods and services.

Дозволено цензурою. Тифлис, 7 Декабря 1877 г. Типография Меликова. გამომცემელი ს. მელინიშვილი, რედაქტორი ს. მეხნი.